მარცხის თემა ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცსა და ზღვაში“

თინათინ სიხარულიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკაში ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგია (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოგია, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა (მიმართულება: ანგლისტიკა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

Abstract

In 1920s some authors came to European and American narrative art who are known as “the Lost Generation“. One of the most outstanding representatives of them is Ernest Hemingway.

Ernest Hemingway’s works are extensive and diverse such as: novels, short stories, novellas, publications ..., “The Nobel Prize in Literature 1954 was awarded to Ernest Hemingway for his one masterpiece named *“The Old Man and the Sea”*. The work portrays the old man Santiago’s struggle to somehow catch the big fish marlin and, although it's a struggle ended in his defeat (The sharks ate his caught fish), he is still hopeful to achieve his aim. According to Foreign and Georgian literary studies, who mainly focus on the old man's victory, but we draw attention to the theses of defeat which is slightly mentioned in some literary studies. Thus the subject of our master’s theses we gave the following formulation: The theses of defeat in “The Old Man and the Sea.”

The key point of this work is to find the development of novel antithesis of the “Old Man and the Sea", the opposite of victory theses in the context of the development of civilization which is psychologically proved throughout the years. The object of research is of Ernest Hemingway's “The Old Man and the Sea “, in which used the methods including analysis, confrontation, comparison and typological adding the collected sources of Foreign and Georgian literary studies.

Nowadays the chosen master’s theses is interesting and topical. Having analyzed Ernest Hemingway’s “the Old Man and the Sea” we came to certain conclusions. Namely, the adventures depicted in the novel fully correspond to the phrases that a person undergoes from victory to defeat, or from defeat to victory.

The developed theses of Ernest Hemingway’s “the Old Man and the Sea” will be the organic continuation and the ending of “A Farewell to the Arms” and “The Sun Also Rises” (“Fiesta”) of developed theses, which indicate the mood of author, which he had throughout his life against the struggle and the suicidal ending in death was motivated by the desire to win.

My master’s theses, which is dedicated to the theses of defeat in Ernest Hemingway’s "The Old Man and the Sea" consists of an introduction, three chapters, three paragraphs and a conclusion, it is attached to the bibliography.

აბსტრაქტი

XX საუკუნის 20–იან წლებში ევროპულ და ამერიკულ ლიტერატურაში მოვიდნენ მწერლები, რომლებიც „დაკარგული თაობის“ სახელით არიან ცნობილი.მათი ერთ–ერთი წარმომადგენელია სწორედ ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი.

ვრცელია და მრავალფეროვანი ერნესტ ჰემინგუეის შემოქმედება: რომანები, მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტიკა... მაგრამ ნობელის სახელგანთქმული პრემია მას ერთი ნოველისათვის, „მოხუცი და ზღვა“, მიენიჭა 1954 წელს. ნაწარმოები ასახავს მოხუცი სანტიაგოს თავგანწირულ ბრძოლას, როგორმე დაიჭიროს დიდი თევზი მარლინი და, თუმცა ეს ბრძოლა მისი მარცხით მთავრდება(დაჭერილი თევზი ზვიგენებმა შეუჭამეს),იგი იმედს მაინც არ კარგავს.ალბათ, ამიტომ ნოველის ირგვლივ გამოთქმულ უცხოურ–ქართულ ლიტერატურათმცოდნეობით ნააზრევში ძირითადად აქცენტი მოხუცის გამარჯვებაზეა გამახვილებული,თუმცა ჩვენი ყურადღება მიიპყრო მკვლევართა ნააზრევში ალაგ–ალაგ გაელვებულმა ფრაზებმა „მარცხის“ თემაზე მოცემულ ნაწარმოებში. ამდენად ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის თემასაც ასეთი ფორმულირება მივეცით: „მარცხის თემა ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცსა და ზღვაში“.

ნაშრომის ძირითადი მიზანია მოიძებნოს ამ ანტითეზის განვითარება ნოველაში „მოხუცი და ზღვა“, გამარჯვების თეზასთან საპირისპირო ჭრილში, რაც ფსიქოლოგიურადაა დასაბუთებული ცივილიზაციის განვითარების მთელ მანძილზე. კვლევის ობიექტია ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“. გამოყენებულია ანალიზის, დაპირისპირების, შედარებით–ტიპოლოგიური მეთოდები. ჩვენს მიერ მოძიებული უცხოურ–ქართული ლიტერატურათმცოდნეობითი ნააზრევის მოშველიებით.

თემა, რომელიც ჩვენი საკვალიფიკაციო ნაშრომის კვლევის ობიექტად ავირჩიეთ საინტერესოა, აქტუალურიც სადღეისოდ.ნაშრომში კვლევის შედეგად მივედით გარკვეულ დასკვნებამდე, რომ ერნესტ ჰემინგუეის „მოხუცსა და ზღვაში“ აღწერილი მოვლენები სრული შესატყვისია იმ პერიპეტიებისა, რომელსაც განიცდის ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე, დამარცხებიდან გამარჯვებამდე, ან გამარჯვებიდან დამარცხებამდე.

„მოხუცსა და ზღვაში“ ჰემინგუეის განვითარებული თემა ორგანული გაგრძელება იქნება და დასასრულიც „მშვიდობით იარაღსა“ და „აღმოხდების მზეში“ („ფიესტაში“) განვითარებული თემებისა, რაც მიგვანიშნებს გადაკვრით თვითონ მწერლისეულ განწყობილებაზე, რომელიც მან მთელი სიცოცხლის მანძილზე ცხოვრებასთან ჭიდილში გაატარა, ხოლო სუიციდური დასასრულიც სიკვდილზე წინასწარი გამარჯვების სურვილით იყო ნაკარნახევი.

ნაშრომი, რომელიც ეძღვნება სწორედ „მარცხის თემას“ ერნესტ ჰემინგუეის ნოველაში „მოხუცი და ზღვა“ შედგება შესავლის, სამი თავისა, სამი პარაგრაფისა და დასკვნისაგან, მას თან ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.